ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა მეათედ!


КОМИТЕТ ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И С
ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР
ЗА ЛУЧШУЮ ПОСТАНОВКУ МАССОВОЙ ФИЗКУЛЬТУРНОЙ И СПОРТИВНОЙ РАБОТЫ В РЕСПУБЛИКЕ

გუშინწინ შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში თავი მოიყარა რესპუბლიკის ფიზკულტურულმა საზოგადოებრიობამ — სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სხვადასხვა დარგის მუშაკებმა, ხელმძღვანელებმა, აქტივისტებმა.

ისინი მოვიდნენ აქ საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციისთვის გარდამავალი წითელი დროშის (მეათედ!), თასისა და საპატიო სიგელების საზეიმო გადაცემაზე.

ეს ჯილდოები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააწესა, ჩვენმა რესპუბლიკამ 1968 წლის შედეგების მიხედვით მოიპოვა.

გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციას გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისთვის, ხოლო თასი და საპატიო სიგელი — მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით განაღდებისთვის.

ჯილდოები საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა, რომელიც გულთბილად მიესალმა რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გამრეკელი, „დინამოს“ საქართველოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულენტი, თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები გ. რცხილაძე, ჯ. გუბაზი, ზ. მამუკაძე, ა. თედეევი, ლ. ახვლედიანი.

სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რომელმაც საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების სახელით მადლობა გადაიხადა შრომის ესოდენ დიდი დაფასებისთვის.

დაჯილდოებულ იქნენ, აგრეთვე, „კოლმეურნის“ ხელმძღვანელები და აქტივისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I საკავშირო სპორტული თამაშების მზადებასა და ჩატარებაში.

საპატიო სიგელი გადაეცა „კოლმეურნის“ თავმჯდომარეს ვ. ულენტს, სიგელები — ამავე საზოგადოების სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგეს გ. ხოშტარიას, აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის, ზუგდიდის, კასპის, სამტრედიის საბჭოების თავმჯდომარეებს შ. მიქელაძეს, თ. ბოლქვაძეს, ქ. გოგატაძეს, შ. ჩანგელიას, გ. ოთარაშვილს, ჯ. ვაშაკიძეს, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისას კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს მ. წულუკიძეს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ა. კობაიძეს, ხოლო სამახსოვრო მედალი „ფიზიკური კულტურა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში“ — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ა. როგავას.

დამსწრეები გულთბილად შეხვდნენ ქართული ფეხბურთის ვეტერანების, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წევრებისთვის შ. იამანიძესა და ს. კოტრიკაძისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის მოწმობისა და სამკერდე ნიშნების გადაცემას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 143
(3882)

1969 წ.
24 ივლისი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

წარმატება!

რიგაში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. ოქროს მედლის ბედი გადაწყვიტა პროგრამის ბოლო სახეობამ — 3 კილომეტრზე მძლეოსნურმა კროსმა. გაიმარჯვა თბილისის დინამოელმა ვ. კალინინმა (10.14,0), რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გამხდარიყო (4765 ქულა).

II ადგილზეა ესტონელი ა. ტანსარუ — 4647. ბრინჯაო წილად ხვდა პროფკავშირების სპორტსმენს ვ. კუზნეცოვს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ამ დღეებში სსრ კავშირის ჭაბუკ ხუთჭიდელთა ნაკრები ბულგარეთს გაემგზავრება, სადაც იასპარეზებს „ოლიმპიური იმედების“ საერთაშორისო ტურნირში.

ამირან ნოზაძე — აბსოლუტური ჩემპიონი

XI
მოსწავლეთა
საკავშირო
სპარტაკიადა

ერევანი, 23 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკეებმა ბელორუსიელებთან მატჩის გადადებული პარტიების განახლების შემდეგ ქულა ჩაიწერეს აქტივში: სიხარულიძე — ტარასოვისა და კაჭარავა—სტეპანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. კვლავ გადაიდო გამყრელიძე—ტურაპინას პარტია, სადაც ჩვენთვის უკეთეს შემთხვევაში ყაიმია მოსალოდნელი. ჯერჯერობით ანგარიშია 3,5:3,5. მორიგი შეხვედრა ჩვენებმა წააგეს სომხეთის ნაკრებთან — 3,5:4,5. აივაზიშვილი დამარცხდა პეტროსიანთან, ტორჩიანი — ნავოიანთან, კაჭარავა — კამილიანთან. გამყრელიძემ მოუგო ანდრიანს, ბაღაშვილმა—ვართანიანს. გედევანიშვილ—კასპარიანის, სიხარულიძე—ბოიახჩიანისა და შარაშენიძე—ხაჩატურიანის პარტიები ყაიმით დასრულდა.

4×500 მეტრზე კანოებით ესტაფეტაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მ. ბლეიმანი, გ. შახნაზარიანი, ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევი. ამავე სახეობაში ბაიდარებით შეჯიბრებაში საქართველოს ჭაბუკები V ადგილზე გავიდნენ.

სპორტულ ტანვარჯიშში გუნდური გამარჯვება იზეიმეს სომხეთის ჭაბუკებმა — 770,0 ქულა. II ადგილზე გავიდნენ საქართველოს ტანმოვარჯიშეები — 758,7, III — რსფსრ-ს წარმომადგენლები (757,95).

ბრწყინვალედ იასპარეზა ა. ნოზაძემ, რომელმაც მრავალჭიდში 112,7 ქულა დააგროვა და სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ტანმოვარჯიშე პირველობის ფინალში გავიდა ყველა ცალკეულ იარაღზე.

მრავალჭიდში II ადგილზეა ანდრიანოვი (რსფსრ) — 111,55 ქულა, III — გრიგორიანი (სომხეთი) — 109,95.

როგორც მხატვრული ტანვარჯიშის, ისე აკრობატიკის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს კოლექტივები V ადგილზე არიან.

ესპადრონისტთა გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სომხეთის მოფარიკავეებმა. II ადგილზე არიან უკრაინელები, III — საქართველოს წარმომადგენლები.

რაპირისტ გოგონათა პირად პირველობაში ყველას აჯობა ვ. აგაჯანიანმა (სომხეთი), რომელმაც 7 შეხვედრა მოიგო. 6 გამარჯვებით II ადგილზეა დ. ბუხრაშვილი. III ადგილიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ი. თანანაშვილს (5 გამარჯვება) ხვდა.

თავისუფალ ჭიდაობაში გ. კუნჭულიასთან და ბ. მგალობლიშვილთან ერთად სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა დ. ყვარელაშვილმაც (60 კგ). ი. მაღალაშვილი (48 კგ) IV ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს მოჭიდავეებმა, II ადგილზე არიან სომხეთის წარმომადგენლები, III — საქართველოს სპორტსმენები.

ჩვენი და უკრაინის ჩოგბურთელების მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:5. ასეთივე ანგარიშით წავაგეთ ლატვიელებთანაც. საქართველოს ჭაბუკებს ამ მატჩში არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ.

ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთაგან მეოთხედფინალში გავიდნენ ტ. მეხტიევი (54 კგ), ა. ზაქარიაძე (70 კგ), ბ. კალატოზიშვილი (75 კგ). ნახევარფინალში გავიდა და საპრიზო ადგილი განაღდებული აქვს მ. მირზოიანს (57 კგ). შეჯიბრებას გამოეთიშნენ ა. ესოიანი (51 კგ) და ვ. ჯილავიანი (63 კგ).

ფეხბურთელთა მორიგ მატჩში ჩვენი გუნდი აზერბაიჯანის ნაკრებს შეხვდა. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე უპირატესობას ჩვენები ფლობდნენ, მაგრამ გოლი ვერ იქნა და ვერ გაიტანეს. შესვენების შემდეგ, 58-ე წუთზე, დ. სართანიამ გახსნა ანგარიში. სამიოდე წუთის შემდეგ ვ. შელიამ მოატყუა მეტოქეთა რამდენიმე მოთამაშე და კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, რომელსაც მიუსწრო ბ. ფარულავამ და ანგარიში გახდა 2:0. დარჩენილ დროში ქართველ ფეხბურთელებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სომხეთი — მოსკოვი 1:1, ბელორუსია — რსფსრ 2:2.

3 ტურის შემდეგ რსფსრ-ს 5 ქულა აქვს, საქართველოს — 4, მოსკოვსა და სომხეთს — 3-3, ბელორუსიას — 2, აზერბაიჯანს — 1. ქართველ ფეხბურთელებს დარჩათ შეხვედრები ჯერ ბელორუსიის, შემდეგ სომხეთის გუნდებთან.

წყალში მხტომელთა გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი ჭაბუკები VI, ხოლო გოგონები XIV ადგილზე გავიდნენ. საბოლოოდ, კოლექტივი X ადგილზე დარჩა.

200 მეტრზე ბრასით მოცურავეთა შორის საქართველოს გუნდის წევრს ა. იევლევს VI ადგილი ხვდა — 2.42,8. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჯერჯერობით IX ადგილზე არიან.

ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა ქვეჯგუფში ბოლო მატჩები სომხეთის წარმომადგენლებთან გამართეს და ორივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით (2:3) დამარცხდნენ. ჭაბუკებს VII-XII ადგილებისთვის ბრძოლაში ორი მატჩი ქონდათ. მათ დაამარცხეს ლატვიის (3:2) და საგზაო სამინისტროს (3:0) გუნდები. VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან გოგონებიც.

საქართველოს კალათბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა ქვეჯგუფში ბოლო მატჩები მოლდავეთის კოლექტივებთან გამართეს. გაიმარჯვეს ჩვენმა ჭაბუკებმაც (64:55) და გოგონებმაც (53:41). მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი VII-XII ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

ჯ. ენუქიძე.

20 45

◆ ვარშავა, 23 ივლისი. ბულგარეთის, ჰოლანდიის, დანიის, სსრ კავშირისა და პოლონეთის 95 ველოსიპედისტმა აიღო „პოლონეთის გარშემო“ რბოლის სტარტი. I ეტაპი (48 კმ) დედაქალაქის ქუჩებში გადიოდა, ფინიშზე ერთდროულად დიდი ჯგუფი მივიდა და გამარჯვებული ფოტოფინიშმა დაასახელა. ესაა მასპინძელი ზ. ხანუშჩიკი — 1:01.02 (საბონიფიკაციო წუთის ჩათვლით). გამარჯვებულს სულ ერთი წამით ჩამორჩნენ გორკელი ა. კულიბინი (VII ადგილი) და იაროსლაველი ი. მიხაილოვი (X). გუნდურ ჩათვლაშიც პოლონელებმა იმარჯვეს. საბჭოთა გუნდი III ადგილზეა.

თ. კაკულიას მარცხი და... I ადგილი

ამას წინათ ლვოვში მოეწყო ჩოგბურთელთა სპორტული დოსტატების გაერთიანებული ჯგუფების შეჯიბრება, რომელშიც გამოდიოდნენ მოსკოვის, ტაშკენტის, კიევის, ლვოვის, ხარკოვის, კუიბიშევის, კალინინგრადისა და თბილისის გუნდები.

თბილისის კოლექტივი დაკომპლექტებული იყო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩოგბურთელებით. აი, ისინიც: ტ. ფარსადანოვა, ლ. მგალობლიშვილი, ჟ. გოგუა, თ. კაკულია, ი. შოგირაძე, პ. აბაშკინი, ვ. ასათიანი, ე. ხიტროვი.

ჩვენმა გუნდმა დამაჯერებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. თბილისელებმა თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს კუიბიშევის (9:3), კიევისა (8:0) და ხარკოვის (7:1) კოლექტივები.

ფინალში ჩვენები შეხვდნენ მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ ტაშკენტის ძლიერ გუნდს (ტაშკენტელებმა თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს პირველობის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი — მოსკოვის კოლექტივი — 7:4).

ამ ორი ძლიერი კოლექტივის მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ერთეულთა შეხვედრებმა უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა — 4:4. ამასთან, მოულოდნელი იყო თბილისელთა ლიდერის კაკულიას წაგება ტაშკენტელ კაპლანთან — 0:6, 3:6.

მატჩის გმირად მოგვევლინა ვაჟთა წყვილი: ასათიანი — აბაშკინი. მათ პირველი ხელი წააგეს და აგებდნენ მეორესაც, მაგრამ ნამდვილი მებრძოლური თვისებები გამოამჟღავნეს და შეძლეს შეხვედრის მოგება — 5:7, 7:5, 6:4.

შერეულ წყვილთა გადამწყვეტ შეხვედრაში ფარსადანოვა — კაკულიამ დაამარცხეს ტაშკენტელები პროკოფიევა — კაპლანი — 6:0, 7:5.

შეხვედრის საერთო ანგარიშია 8:7 თბილისელთა სასარგებლოდ.

გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა კ. კლდიაშვილმა და მ. ქობალიამ.

ი. გეგელაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

ამურის ნაპირზე

ხაბაროვსკში, მდინარე ამურის ნაპირზე, დგას მინისა და ბეტონისგან ნაგები ნათელი შენობა, რომელიც დიდ სპორტულ კომპლექსს — ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონს ეკვრის. ამ შენობაშია მოთავსებული შორეულ აღმოსავლეთში პირველი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს ფიზკულტურის მასწავლებლებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, აგრეთვე, მწვრთნელებს სპორტული კოლექტივებისთვის.

ინსტიტუტს აქვს თავისი სპორტული ბაზა, კარგი დარბაზები, აუდიტორიები, თანამედროვე აღჭურვილობა. მასწავლებელთა შორის 15 სპორტის ოსტატია.

ამ სასწავლებელთან შექმნილია დაუსწრებელი განყოფილება და მწვრთნელთა სკოლა. ვარაუდობენ, რომ მალე მარტო დღის განყოფილებაზე 1200 კაცი ისწავლის.

• • •

სურათზე: ხაბაროვსკის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტის შენობა.

ფოტო ვ. რუნოვისა
(ახალი ამბების სააგენტო).

ტაიგელი მეხანძრეები

... დედამიწა თანდათან შორდება თვალს. თვითმფრინავი „ან-2" სიმაღლეს იღებს. სალონში პრიმორსკის საპარაშუტო-სახანძრო რაზმის მედესანტეები არიან. დღეს მათ საწვრთნელი ხტომა აქვთ პროგრამაში.

— მოემზადეთ! — ისმის მედესანტეთა მეთაურის ა. მინდრას ხმა. ღია კარიდან სუფთა ჰაერის ნაკადი მოდის.

— გადახტით!..

ტაიგელი მეხანძრეები ხტებიან. ხელებს გაშლიან და რამდენიმე წამს თავისუფლად ეშვებიან. შემდეგ — მკვეთრი ბიძგი, და პარაშუტიც იშლება.

საწვრთნელი ვარჯიში ფრიადზე შეფასდა. დესანტის ყველა წევრმა კარგად შეასრულა დასახული ამოცანა.

მეორე დღეს მედესანტეები ტაიგაში ხანძრის ადგილზე გასაფრენად ემზადებოდნენ.

• • •

სურათზე: მედესანტეები დაეშვნენ ტაიგაში ხანძრის ჩასაქრობად.

ფოტო ვ. კუზნეცოვისა
(ახალი ამბების სააგენტო).

ქართული ჭიდაობის პოეზია

სპორტის ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის ჩვენს პრესაში

ესთეტიკურ აღზრდასთან ფიზიკური აღზრდის კავშირის პრობლემამ დიდი ხანია დააინტერესა მსოფლიოს მეცნიერება. იგი დღესაც სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რამდენადაც ბევრი საკითხი ჯერ კიდევ სათანადო კვლევასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამ საქმეში გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლია წარსულის პროგრესული გამოცდილების, ჩვენი წინაპრების ნააზრევის შესწავლას. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს მასალები, რომლებიც ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ურთიერთკავშირის შესახებ დაბეჭდა გასული საუკუნის ქართულმა პრესამ.

აღნიშნულ საკითხს ჩვენმა პრესამ საფუძვლად დაუდო რუსი სამოციანელების, განსაკუთრებით კი ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულებანი, რაც ყველაზე თვალნათლივ გამოვლინდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ვრცელ ფელეტონში „ბავშვების მოვლა მადაგასკარზე" („დროება", 1870 წ. №№ 44, 45, 46, 47).

როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკი მშვენიერებას ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სრულყოფაში ხედავდა, ამ უკანასკნელის გამომუშავების ერთ-ერთ საშუალებად კი მას მიაჩნდა სისტემატური ვარჯიში შრომითს მოძრაობებსა და ხალხურ სპორტში. ნ. ნიკოლაძის ფელეტონშიც „ნამდვილ მშვენიერებად და ტანის სიმრთელედ" მიჩნეულია ის ამბავი, თუ ადამიანს აქვს „ნალის-მტვრეველი ხელები", თუ ადამიანი „სიმრთელით ტალს ედარება", თუ იგი „ჯანსაღი, ღონიერი და შრომას მიჩვეულია". უფრო ადრე დაახლოებით იგივეს წერდა ჟურნალი „საქართველოს მოამბეც" (1863 წ. № 10): „გარეგანი სიწმინდავე და სიმშვენიერე უნდა იყვნენ გამომხატველნი შინაგანი სიწმინდავისა და სილამაზისა".

ფიზიკური აღზრდა, სისტემატური ფიზიკური ვარჯიში ადამიანს ანიჭებს იმგვარ თვისებებს, რაც მნახველს უფლებას აძლევს „მშვენიერი" უწოდოს მას. „დროების" მიხედვით, სწორედ ასეთ განცდას აღძრავს ხოლმე გუდამაყრელთა ნახვა, რომლებიც „მშვენიერი, ბუნებით ლამაზი, თეთრ-წითელფეროვანი, კოხტა აგებულების არიან: აქ მუცელ გაბერილ კაცს ვერ ნახავთ" („დროება", 1881 წ. № 90).

შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი ქალების ტანის მშვენიერების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ქართულ პრესას სწორედ ფიზიკური ვარჯიში მიაჩნდა. აი, რას წერდა ჟურნალი „მნათობი" 1870 წელს (№ 1, გვ. 30): „სად იყო უწინ საქართველოში მოდები და კარსეტები, მაგრამ აქამდის გასაკვირველად გვაქვს უწინდელი ქალების კეკლუცობა და მშვენიერი მოყვანილობა. ეხლა რომ უწინდელივით მშვენიერი მოყვანილი ქალები გამოვიდნენ, უნდა მივცეთ სრული თავისუფლება მთელ ჩვენს კუნთების სისტემას, სხეული ვავარჯიშოთ". მაგრამ ჩვენში ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს არა მარტო ფიზიკური ვარჯიშით ნაწყალობევი გარეგანი მშვენიერება და ტანის „შინაგანი სიმრთელე", არამედ ის თვისებებიც, რასაც ამჟღავნებს პიროვნება პრაქტიკული საქმიანობის დროს: „სწორედ მშვენიერება არის იმის ნახვა, — წერდა „დროება" 1871 წელს (№ 30), — როცა კაცი წყალში ისე მარჯვედ იქცევა და კლდეში ისე უშიშრად ძვრება, როგორც თავის სახლში და თვალახელილი თევზებს დასდევს".

სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართული პრესა, განსაკუთრებით კი „დროება", ქართული ხალხური სპორტის მივიწყებაში მოსახლეობის ესთეტიკური გემოვნების დაცემის საშიშროებასაც ხედავდა. 1876 წელს (№ 17) „დროება" სარკასტულად შენიშნავდა, რომ „ჩვენ გავნათლდით, ცივილიზაციის გემო ვიგემეთ, გონება გაგვეხსნა, აბა, ამისთანა სეპრული, უაზრო ხალხის ქეიფი (გაზეთი გულისხმობს ყეენობას, ხალხურ გართობა-თამაშებს და სხვ.— ა. ც.) რათ მოგვეწონება, რათ დააკმაყოფილებს ჩვენს ესთეტიკურს გემოვნებას?"

კარგად ორგანიზებული, პატიოსანი და ვაჟკაცური შეჯიბრებები მეტად სასურველ გავლენას ახდენენ მაყურებელთა ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე. სწორედ ამ დანიშნულებას ასრულებდა ქართული სახალხო დღესასწაულები, რომელთა პროგრამის მთავარ ნაწილს სპორტული გამოსვლები წარმოადგენდა. ასეთ შეჯიბრებებზე, როგორც „დროება" წერდა, „ხალხი თავისუფლად თვალით ხედავდა თავისი მოძმეების ფიზიკურ ვითარებას, სიმარჯვეს, ძალას, მამაცობას და სხვ. და გულში უღვივდებოდა სიყვარული და თაყვანისცემა ამ ვითარებისა" (1881 წ. № 107). უწინ, იმავე „დროების" ცნობით (1885 წ. № 197), „ხანგრძლივი ბრძოლისა და ოჯახის მოშორების შემდეგ, ქართველი მთელის არსებით მიეცემოდა ლხინს, ამაში ჰპოვებდა სხვათაშორის, მოსვენებას, შვებას, აქ მოიკრებდა ძალას, ღონეს, გააცხოველებდა ბუნებას, გააღვიძებდა გრძნობას, აღამაღლებდა საუკეთესო თვისებებს. ჩვენი ძველებური ლხინი ნამდვილი პოეზია იყო... ლხინს მოსდევდა სამხედრო ვარჯიშობა: მიზანში სროლა, ყაბახი, ჯირითი, ბურთაობა და ცხენის თამაში".

გასული საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით გამოჩენილი ქართველი ფალავნების გამოსვლების აღწერას, რაც ესთეტიკური კუთხითაა შეფასებული. ცნობილ ქართველ ფალავანთა შეჯიბრებები, მაყურებელს პირველ ყოვლისა იზიდავდა მეტოქეთა მაღალი კლასით, ორთაბრძოლაში გამოვლენილი მაღალი ფიზიკური და სულიერი თვისებებით, კორექტულობით. „გამოვიდნენ მოწინააღმდეგე მოჭიდავენი, — წერდა ჟურნალი „თეატრი" კულა გლდანელსა და ნესტორ ქებუაზე 1888 წელს, — ორივე მშვენიერი, ტანადი, მხნე და მამაცი; მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული". ან კიდევ: „ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ალბათ შეუძლიან წარმოიდგინოს სადამდინ განვითარებულია ჩვენში ჭიდაობა... ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი" („დროება").

„დროების" მიხედვით, ვაჟკაცური ქართული ჭიდაობის ხილვა ისევე ზრდის ადამიანში მაღალ ესთეტიკურ გრძნობებს, როგორც კარგი ლექსის მოსმენა, პოეზიის შედევრებით დატკბობა. ალბათ ამიტომაც „დროების" ფურცლებზე არაერთხელ გამოთქმულა გულისწყრომა იმის გამო, რომ ზოგჯერ პატიოსანი ორთაბრძოლის ნაცვლად სარბიელზე უაზრო ჩხუბი და მაყურებლის გემოვნების შემრყვნელი სანახაობა იმართებოდა.

„დროება" აღშფოთებას ვერ მალავს 1883 წელს ფოთში ჩატარებული ლელობურთის გამო, როცა „ბურთაობის დროს რამოდენიმე კაცი დაჭრილა და დაშავებულა, რადგან გაცეცხლებულ მობურთავეთ ბოლოს ქვა და კეტი უხმარიათ. ერთი კაციც მომკვდარა თურმე მეორე დღეს ჭრილობისაგან".

გაზეთი სასტიკად ილაშქრებს ისეთი კრივის წინააღმდეგ, როდესაც „პატარა ბავშვების კრივის შემდეგ დაერევიან დაშფოთებული და ღვინისაგან სისხლ-არეული დიდრონებიც და თქვენს წინ იშლება სრული ჯოჯოხეთური, ერთმანეთის დაუზოგველობის სურათი..." „განა ცხვირ-პირის ლეწვის გარეშე ჩვენს ხალხს სხვა გასართობი თამაშობა არა აქვს?" — აღშფოთებით წერდა „დროება" 1885 წელს.

ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და ფიზიკურ განვითარებას, მშვენიერი კი მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი პიროვნებაა. სწორი გზით წარმართული ფიზკულტურული მოძრაობა სასურველ ზემოქმედებას ახდენს როგორც უშუალოდ მონაწილის, ისე მაყურებლის ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე.

ასე ესმის გასული საუკუნის ქართულ პრესას ფიზიკური აღზრდის როლი ესთეტიკურ აღზრდაში.

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

მხოლოდ ქალაქლდზე...

სუჯუნა ერთ-ერთი დიდი სოფელია აბაშის რაიონში, მაგრამ ფიზკულტურულ მუშაობას აქ სრულიად არ აქცევენ ყურადღებას: არა აქვთ სპორტული მოედნები, ფეხბურთის მინდორი. აქაური ახალგაზრდები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად და სავარჯიშოდ მეზობელ სოფლებში დადიან. სოფლის კულტსახლის გვერდით მდებარე ეგრეთ წოდებული ფრენბურთის მოედანი კეთილმოუწყობელია. ნიშნოსნებისა თუ თანრიგოსნების მომზადებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სპორტული სექციები მხოლოდ ქალალდზე არსებობს. ადგილობრივი მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია კი დახმარების ნაცვლად დუმს.

სოფელი ეწერი სუჯუნის თემში შედის. სპორტული ცხოვრება აქაც ჩამკვდარია. ამ სოფელში ფეხბურთის მინდორი აქვთ, მაგრამ იგი პირუტყვის სათარეშოდ არის ქცეული.

არც სოფელ კეთილარშია კარგად საქმე, სადაც დღესაც შემოუღობავია ფეხბურთის მინდორი. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ზანათის მეურნეობაშიც.

„კოლმეურნის" რაისაბჭოს ხელმძღვანელობას მეტი ყურადღება მართებს ამ ჩამორჩენილი კოლექტივების მიმართ.

რ. ჟანტურია.
(ჩვენი კორ.).

აბაშა.

ქველიაშვილის საკავშირო...

მოსკოვი, 23 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მიტიშჩის სასროლეთზე დაიწყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) 300 მეტრზე სროლისას ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების მონაწილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ქველიაშვილმა ჩოქელა ასპარეზობისას 395 ქულა დააგროვა და 1 ქულით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი, რომელიც ი. ნიიაზოვს (აშხაბადი) ეკუთვნოდა 1964 წლიდან.

საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა საერთაშორისო სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა. „გაქცეულ ტახზე" სროლით (20+20) მან 169 ქულა დააგროვა და საბოლოოდ II ადგილი მოიპოვა. პირველობა წილად ხვდა ესტონელ მ. ჰიაგს — 172. III ადგილზეა თბილისელი გ. ბექთაშევი — 166.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე 60 გასროლაში მ. პაპავამ სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა. მისი მაჩვენებელი (565) 1 ქულით ჩამორჩება საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივს.

შეჯიბრება გრძელდება.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ფეხბურთი 69

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

2:0, 1:0, 1:0

გუშინწინ შედგა მორიგი ტურის მატჩები. წარმატებით ითამაშა საქართველოს სამივე გუნდმა.

გათამაშების ლიდერს — თბილისის „ლოკომოტივს" გასვლითი შეხვედრა ჰქონდა ყარაგანდის „შახტიორთან", რომელიც, აგრეთვე, წამყვან ჯგუფშია. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:0.

ბათუმის დინამოელებმა შინ მიიღეს ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელი" და დაამარცხეს იგი — 1:0.

ტყიბულში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე" და ჩიმკენტის „მეტალურგი". გაიმარჯვეს ტყიბულელებმა — 1:0.

ველით განაცხადებს

საქართველოს წლევანდელი თასის გათამაშება ფეხბურთში 31 ივლისს იწყება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებს უნდა გამოეგზავნათ განაცხადები და ადგილებზე ჩატარებული თასის გათამაშებათა სრული ანგარიში 20 ივლისისთვის.

ვინაიდან განაცხადები ადგილებიდან იგვიანებს, ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ გადაწყვიტა განაცხადებისა და ჩატარებულ შეჯიბრებათა ანგარიშების მიღების ვადა გადასწიოს 28 ივლისისთვის. ამის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება.

იწყება ზონალური...

26 ივლისს იწყება რესპუბლიკური ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში. მოგვყავს I ტურის თამაშების კალენდარი.

I ზონა. გურჯაანი — ახმეტა, ლაგოდეხი — საგარეჯო, სიღნაღი — თელავი.

II ზონა. ლანჩხუთი — სამტრედია, ხობი — ზუგდიდი, ფოთი — კასპი, აგარა — გორი.

III ზონა. თიანეთი — ბოგდანოვკა, წალკა — დმანისი, მანგლისი — ბოლნისი.

პირველად თბილისში

ჩვენს რესპუბლიკაში რადიოსპორტს დიდი ხნის ისტორია აქვს. 1928 წელს საქართველოს რადიომოყვარულთა საზოგადოებასთან მოკლეტალღოსანთა პირველი სექცია ჩამოყალიბდა. შემდეგ ამ სექციას თავისი კოლექტიური რადიოსადგური ჰქონდა. უფრო გვიან თბილისში ამუშავდა მეორე კოლექტიური სადგური. პირველი ენთუზიასტები ბარტიშევსკი, გაბრიელიანი, მელია, დავითაშვილი, ეფრემიდი, ოქსუზოვი, კარაპეტიანი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები თითქმის არაფრიდან აკეთებდნენ რადიოსადგურებს. ამ სადგურებს, გარდა სპორტულ ტურნირებში მონაწილეობისა, სტიქიასთან მებრძოლთა დასახმარებლადაც იყენებდნენ: ყოველწლიურად მიდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და დღეში ორ-სამჯერ გადმოსცემდნენ ამა თუ იმ მდინარის დონის ცვლას, რათა თავის დროზე აეცილებინათ წყალდიდობით გამოწვეული ზარალი და სხვ.

გავიდა დრო — რადიოსპორტი გაუთანაბრდა სხვა სახეობებს. თანრიგებისა და სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებისთვის დაწესდა ერთიანი ნორმატივები.

თანამედროვე რადიოსპორტს ხუთი სახეობა აქვს: რადიოკავშირი მოკლე ტალღებზე, რადიოკავშირი ულტრამოკლე ტალღებზე, „მელაზე ნადირობა", რადისტთა მრავალჭიდი, რადიოგრამების მიღება-გადაცემა.

მოკლე ტალღებზე შეჯიბრება ტარდება ტელეფონით ან ტელეგრაფით სისწრაფეზე, ან მარათონული. წლევანდელ ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულა ჩვენმა ორმა სპორტსმენმა — კ. ირემაშვილმა და ა. კარამიანმა.

ულტრამოკლე ტალღებზე შეჯიბრება უმეტესად აზოვის ზღვის რაიონში ტარდება. ამ ტურნირის თავისებურება ისაა, რომ თვით სპორტსმენი ამზადებს აპარატურას, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს სპეციალურ მოთხოვნებს, ხოლო მთელი მოწყობილობის (კარავი, ანტენა, აპარატურა, აკუმულატორები და სხვ.) წონა 100 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. წლევანდელი ტურნირი 8-13 სექტემბერს მოეწყობა.

საინტერესოა „მელაზე ნადირობა". „მელა" პატარა რადიოგადამცემი სადგურია, მონადირენი — ცალმხრივმოქმედი ანტენიანი პატარა მიმღებებით შეიარაღებული სპორტსმენები. 15-18 კვ კმ ფართობზე, სადაც აუცილებლად უნდა იყოს ტყე, მინდორი, ბუჩქნარი, ღელე და სხვა, 5 „მელას" დამალავენ. „მელიები" დროგამოშვებით მუშაობენ — გადასცემენ სიგნალებს და ერთი წუთით დუმდებიან. სპორტსმენმა ხუთივე „მელა" განსაზღვრულ დროში უნდა აღმოაჩინოს.

„მელიებზე" მონადირეთა საქართველოს ნაკრები თეთრი წყაროს რაიონში გ. მაილოვის ხელმძღვანელობით ემზადება საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც 1-8 აგვისტოს ჟიტომირში ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ შარშან ქვეყნის ჩემპიონის სახელი სწორედ ჩვენმა „მონადირემ" კოკიაურმა მოიპოვა. თუ რადიოსპორტის სხვა სახეობებში მონაწილეობენ ვაჟები, ქალები, ჭაბუკები და გოგონები, რადისტთა მრავალჭიდში, მისი სირთულის გამო, ასპარეზობის უფლება მხოლოდ ვაჟებსა და ჭაბუკებს აქვთ.

მრავალჭიდში შედის ასოებისგან შემდგარი რადიოგრამის მიღება-გადაცემა, ციფრებისგან შემდგარი რადიოგრამის მიღება-გადაცემა, 5-კილომეტრიანი კროსი, ღერძზე აზიდვა, 700-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა, ადგილის პოვნა რუკაზე და აზიმუტის გადატანა, რადიოსადგურებით წრიული მუშაობა — ექვსი დეპეშის გადაცემა (სამი ძირითად და სამი სათადარიგო ტალღაზე). წლეულს ეს შეჯიბრება ჩატარდება ულიანოვსკში 8-13 აგვისტოს. საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს საკავშირო პირველობათა მრავალგზის პრიზიორი კ. ირემაშვილი.

ვისაც მახვილი სმენა და მოქნილი ხელი აქვს, მარტო მას შეუძლია დაეუფლოს რადიოსპორტის ისეთ სახეობას, როგორიც რადიოგრამების სწრაფი მიღება-გადაცემაა.

ჩვენმა სპორტსმენმა მ. სადუკოვმა 1967 წლის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში (მინსკი) მიიღო და ხელით ჩაწერა 210 ნიშანი. მან რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს შედეგი და სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

1968 წელს, XXI საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ერევანში ჩატარდა, გოგონათა შორის პირველობა მოიხვეჭა თბილისელმა ნ. შმელიოვამ. შმელიოვას გარდა გუნდში არიან საქართველოს ჩემპიონი, 15 წლის თბილისელი შ. იმერლიშვილი, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრების წევრი, თბილისელი არმიელი, 21 წლის ა. პეტრუჟისი, ოსტატობის კანდიდატი ა. ზურაბიძე, პირველთანრიგოსნები ზ. ბუდნიკი და ა. სოტნიკოვა. კოლექტივი კარგად მოემზადა მორიგი (XXII) საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც პირველად ჩატარდება თბილისში. შეჯიბრება დაიწყება 26 ივლისს რადიოკლუბის (ჭავჭავაძის პროსპექტი № 52) სპეციალურად მომზადებულ კლასებში და 30 ივლისამდე გასტანს. სარბიელზე გამოვა 17 გუნდი. თითოეულში ექვსი სპორტსმენი შედის — ორი ქალი, ორი ვაჟი, ერთი გოგონა და ერთიც ჭაბუკი.

საქართველოს რადიოსპორტის ფედერაციამ, განათლების სამინისტრომ, კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა, გაზეთების რედაქციებმა და სხვა ორგანიზაციებმა ტურნირის მონაწილეებისთვის დააწესეს სპეციალური პრიზები.

დ. ლომიძე,

რადიოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

* * *

სურათებზე: ზევით — გუნდის მწვრთნელი მ. სადუკოვი (მარცხნივ) და წევრები აჯამებენ მორიგი ვარჯიშის შედეგებს; ქვევით — ნ. შმელიოვა; შ. იმერლიშვილი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ისგვა ნახვჩის მა ანშელდისგ...

კავკასიონის მთებში ცივი სილურჯეა ჩამდგარი. ძაძით მოსილი მესტიელები ალპებში ჩამუხლულ ქართველ ვაჟკაცს ელიან. შორიდან მომავალი თვითმფრინავების თავზარდამცემ გუგუნს ხალხის გოდება აჰყვა. ოთხმა თვითმფრინავმა მესტიას კივილით თავზე გადაუარა და გეზი პირდაპირ უშბის მიდამოებისკენ აიღო. ვეფხვივით დაუდგრომელი და უშბაზე ძლიერი მიხეილ ხერგიანის ცხედარი უკანასკნელად გარს უვლის და ეთხოვება კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს...

მესტიის რაიონს ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან უამრავი სტუმარი ეწვია. ყოველი სვანის ოჯახი თავს ჭირისუფლად თვლის და უცნობებს შინ ეპატიჟება. სოფლისკენ მიმავალ გზაზე ხუთი დღე-ღამის განმავლობაში არ წყდება თვალცრემლიანთა ნაკადი.

და აი, ხერგიანების ულამაზესი სოფელი ლალამი. სვანურ კოშკებს შორის, ჩამდგარი ორსართულიანი სახლის ეზოში უშბის უზარმაზარი სურათია გადაჭიმული. შავი არშია მიხეილ ხერგიანის დაბადებისა და გარდაცვალების წლებს გვამცნობს: ზუსტად 37 წელი, არც ერთი დღე მეტი. მთის მოტრფიალე სწორედ თავისი დაბადების დღეს დაიღუპა შორეულ მყინვარებში. კედელთან, სტენდზე, მიხეილის წერაქვი, სპორტული ტანსაცმელი და ნივთები, მამაპაპური ქამარ-ხანჯალი და ჯიხვის რქები ჰკიდია. სურათიდან მისი მომღიმარი სახე გვიმზერს. აქვეა ოქროსა და ვერცხლის მედლები, ჯილდოები, საჩუქრები, ხერგიანს რომ მიუღია ბრწყინვალე გამარჯვებების აღსანიშნავად.

ხერგიანებს სახლის აივანი ღრმა ხეობას და ბანგურიანის დათოვლილ მთას გასცქერის, რომელიც მიშამ თვალის გახელიდანვე შეიყვარა. ახლა მთას ჯანღი შემოუბურავს და აღარავის ეჩვენება. ცრის. კაცის ქვითინს ბუნების ალალი ცრემლიც ემატება...

მიხეილ ხერგიანის ცხედართან მთამსვლელობის ვეტერანები ჩამდგარან: ბესარიონ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, მაქსიმე გვარლიანი, ბექნუ ხერგიანი, ალმაცგირ კვიციანი და სხვები.

ყველა მათგანის ფიქრი ერთია და მწარე, მაგრამ ამ ფიქრს სულ სხვადასხვა მოგონება სდევს. ბესარიონ ხერგიანი მწუხარებისგან ბეჭებში მოხრილა, სახე დაუხოკავს. იგი მიხეილის მამაცაა და მთამსვლელობაში მისი პირველი მასწავლებელიც. მაქსიმე გვარლიანს ახლაც ყურში უდგას გულადი დისწულის სიტყვები: „რადაც უნდა დამიჯდეს, ტიან-შანიდან ილია გაბლიანის ცხედარი სვანეთში უნდა ჩამოვიტანო". ალმაცგირ კვიციანი ცრემლს ვერ იკავებს. 1965 წელს უშბაზე ურთულესი გზით ასულ ლეგენდა-კაცს — მიხეილ ხერგიანს იგი პირველი შეეგება სოფელ მაზერთან და ხარი დაუკლა.

ახლა კი... მშობლიურ ჰერქვეშ მშვიდად წევს „კლდის ვეფხვი", აღარ ბორგავს. შემზარავია სვანი ქალების ცივი კივილი...

ძველ თაობას ახალგაზრდა ალპინისტები ენაცვლებიან და მეგობრის ცხედარს ღამეს უთევენ იოსებ და ჯუმბერ კახიანები, ჯოკია და სოზარ გუგავები, შოთა და ლაერტ ჩართოლანები, ლევან ახვლედიანი, შალვა მარგიანი, პირიბე გვარლიანი და სხვები.

გლოვის დღეებში მიხეილ ხერგიანის გაზრდილი მთამსვლელი, კლდეზე ცოცვაში ოსტატობის კანდიდატი ლადო გურჩიანი და მისი თანატოლები ბანგურიანის მთაზე ავიდნენ. შებინდებისას ჯერ 37 შუშხუნა ავარდა, შემდეგ კი დიდი კოცონი აგიზგიზდა. მიხეილ ხერგიანის ანთებული გულიც ხომ იმ კოცონივით მთებში დაიწვა.

15 ივლისს მიხეილს უკანასკნელად აცილებენ. მზემ ვერცხლისფრად აელვარა კავკასიონის ჭაღარა მწვერვალები. ცაზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ ჩანს. მესტიაში სახალხო გლოვაა. დილის 8 საათზე ხერგიანების ეზო უკვე ხალხითაა სავსე. სვანეთის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩაშავებული ქალები და უხუცესნი მოდიან. თალხის ფერი თანდათან მატულობს. სხვადასხვა სოფლის მამაკაცთა გუნდები ჯგუფ-ჯგუფად დგებიან და ისმის გაბმული ზარი. მათ ვაჟკაცურ გუგუნში ფოლადი იგრძნობა, თვალში — ცრემლი.

მიხეილ ხერგიანის ცხედარი ოთხგან დაიტირეს და დიდი პატივით გააცილეს: ერთი — ალპების მთების ძირას, იტალიურ სამხედრო ნაწილში, მეორე — მოსკოვში, მესამე — საქართველოს გულში, მაგრამ სვანური ზარი და მოთქმა უფრო გულდამთუთქავია:

„უშბად ხოლხმაშა, ვოი, ვო" (უშბაზე ძლიერო)
„ვეფხშალ უყალვა, ვოი, ვო" (ვეფხვივით უშიშარო)
„ჰერსკნიშ ლულიშ, ვოი, ვო" (შველივით ფეხმარდო)
„ქამე ქვე ჩიაგ ქვეყანაისგა, ვოი, ვო" (ქვეყანაზე განთქმულო)
„ისგვა ნახვჩის მა ანშელდისგ, ვოი, ვო" (შენს სიკეთეს რა ჩამოთვლის)
„ჩინარ უკლინ ამსვალდ, ვოი, ვო" (უნაკლო ადამიანო)
„ვაი ნიშგე ცოდ სიმადმანერდი, ვოი, ვო" (ვაი, ჩვენი ცოდვა, რომ აღარ გვეყოლები)
„შვანეშ ლეჟახ ნიშგე მიშა, ვოი, ვო" (სვანეთის სასახელო, ჩვენო მიშა)

თვითმფრინავების გუგუნი არ წყდება; ლალამი ხალხს ვეღარ იტევს... 8 საათზე სამგლოვიარო პროცესია მესტიისკენ დაიძრა. სოფლის შარაზე მიხეილ ხერგიანის ცხედარს სამასამდე ქალი გოდებით მიაცილებს, ხოლო სულ ბოლოს სვანური ზარი ისმის. მესტიის მოედანზე, სამგლოვიარო მიტინგის დროს, გამოსათხოვარ სიტყვებს ამბობენ: ა. ბოროვიკოვი, ო. გიგინეიშვილი, ვ. სალლიანი, ჯ. გუგავა, ს. ცაიშვილი და სხვები.

6 საათზე მიხეილ ხერგიანის ცხედარი მუზეუმის ეზოში დაკრძალეს. მის საფლავს თავს დასცქერიან კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები და საჯიხვეები, ის წმინდა ადგილები, სადაც მიხეილი ცოცვით მზისკენ ილტვოდა და მუხლი მაინც არ ეღლებოდა.

მყინვარებში დარჩა მისი სიცოცხლისა და მარადიული უკვდავების დასაწყისი. და თუ კი იგი ოდესმე უნდა დამშვიდობებოდა ცხოვრებას, ეს უთუოდ მთებში უნდა მომხდარიყო, რადგან მას ყველაზე მეტად მთები უყვარდა.

ამ ქვეყანაზე, სადაც უნდა ყოფილიყო მიხეილ ხერგიანი, ყველგან სვანეთის მთები ენატრებოდა.

გავა დრო, ხერგიანის რაინდობას მომავალი თაობა „ხიდად გაიდებს" და მწვერვალებიდან გავიგონებთ მის დიდებას, როგორც მძლავრ ლილესა და მრავალჟამიერს.

ქეთუნა ნეფარიძე.

მესტია.

„ლელო" წერილების კვალდაკვალ

„სანაქებოდ"

ჩვენი გაზეთის 3 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ცხაკაიაში ცხენოსანთა რესპუბლიკურ პირადგუნდურ პირველობას ცუდად ემსახურებოდა კაფე-რესტორან „კოლხეთის" მიმტანი ვ. ადამია.

როგორც საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების მმართველი ჟ. საჯაია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიმტანი ვ. ადამია მოხსნილია სამუშაოდან.

მისაბაძი თაოსნობა

დუშეთში გაიმართა ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო სეირნობა. ამ ღონისძიების ინიციატორები იყვნენ თბილისის მთაწმინდისა და ვაკის კულტურისა და დასვენების პარკების, აგრეთვე, დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის ერთდროული თამაშის სეანსმა 30 დაფაზე. ნონამ 26 პარტია მოიგო, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. ნინუაშვილთან და წააგო ს. მარჩენკოსთან, ვ. ნატარაძესთან და ვ. ელისტატოვთან.

გაიმართა შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთსა და ფეხბურთშიც.

დიდძალი მაყურებელი მიიზიდა ქართულმა ჭიდაობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ მეზობელი სოფლების სპორტსმენებიც. ზოგიერთი მაყურებელი საჭიდაო სარბიელზე ვერ მოხვდა და იძულებული იყო ღობიდან ედევნებინა თვალი ჭიდილისთვის.

სურათებზე სწორედ ეს მომენტებია აღბეჭდილი.

ტექსტი და ფოტო ა. კოტორაშვილისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალი ამბები

● ტუნი (შვეიცარია), 22 ივლისი. ამავე სახელწოდების წარმტაც ტბაზე დაიწყო „ურჩხულის“ კლასში ევროპის აფროსანთა ჩემპიონატი. პირველ რბოლაში წარმატებას მიაღწია არხანგელსკელმა ი. ანისიმოვმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა დანარჩენი 32 იახტა. შეჯიბრებაში კონტინენტის 13 ქვეყნის აფროსნები მონაწილეობენ.

● ლიუბერცი, 22 ივლისი. ვარშავის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა სსრ კავშირში თავისი ტურნეს მეოთხე მატჩი აქ გამართა რუსეთის ფედერაციის ნაკრებ გუნდთან. და თუმცა მოედანზე ყველაზე შედეგიანი გახლდათ პოლონელი დ. ფრომი (მის ანგარიშზეა 14 ქულა), მასპინძელთა აშკარა უპირატესობა თვალსაჩინო იყო — 71:46 (34:17).

● რიგა, 22 ივლისი. დღეს აქ ანგარიშით 15,5:14,5 დამთავრდა ასუჯრიან შაშში სსრ კავშირისა და პოლანდიის მესამე შეხვედრა (წინა ორი მატჩი საბჭოთა მოშაშეებმა უფრო იოლად მოიგეს). მსოფლიო ჩემპიონმა ა. ანდრეიკომ და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ი. კუპერმანმა სამივე პარტია ახალგაზრდა მეტოქეებთან — ტ. სეიბრანდსთან და ჰ. ვირსმასთან ყაიმით დაამთავრეს.

● სტოკჰოლმი, 22 ივლისი. იტალიის, რუმინეთისა და შვეციის მძლეოსანთა აქ დაწყებულ მატჩში მწვავე ბრძოლა გაიმართა სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის. რუმინელებმა შ. იოანმა და დ. ჩაბამ, შვედმა კ. ხელიონმა და იტალიელმა ე. აზარომ 213 სანტიმეტრი გადალახეს. გამარჯვებულის საკითხი გადაწყვიტა ცდების რაოდენობამ: გაიმარჯვა იოანმა. რუმინელებმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს — ი. ნადმა 59,10 მეტრზე ტყორცნა ბადრო. 110 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონმა, იტალიელმა ე. ოტოზმა — 13,9 წამი. შუბი ყველაზე შორს (82,24) ტყორცნა შვედმა ო. ნილსონმა.

● რიგა, 22 ივლისი. სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ბულგარეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ მეორე მატჩი გამართა ლატვიის გუნდთან, რომელიც უმთავრესად ტტტ-ს მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. სტუმრები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად, ანგარიშით 47:64.

● დონის როსტოვი, 22 ივლისი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ს და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

● დონეცკი, 22 ივლისი. გუშინ ადგილობრივმა „შახტიორმა“ ანგარიშით 4:2 დაამარცხა გდრ-ის საფეხბურთო კლუბი „ჰემი“.

ახალი ამბები

კურსი — სპარტაკიადა

29 ივლისს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ კიევში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არმიელი სპორტსმენები ჩავლენ. იქ ჩატარდება მეგობრული არმიების 11 სპარტაკიადა, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. ძმური ქვეყნების მეომარი სპორტსმენები პირველად 11 წლის წინათ შეიკრიბნენ ლაიპციგში (გდრ). ახლა, დიდი შესვენების შემდეგ, არმიელები კვლავ შეეჯიბრებიან ერთმანეთს სპორტის 12 სახეობაში: კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, სროლაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, სამხედრო სამჭიდში, ტანვარჯიშში, ცურვაში, ძალოსნობასა და კროსში.

წინასწარი გამოანგარიშებით, მეგობრული არმიების 11 საზაფხულო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 2 ათასი სპორტსმენი 11 სოციალისტური ქვეყნიდან: ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, კუბიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მონღოლეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სსრ კავშირიდან.

კიევის არმიის სპორტული კლუბი უკვე ამთავრებს სპარტაკიადის ჩატარებისთვის მზადებას: სულ მალე მზად იქნება დარბაზი, სადაც ფრენბურთელები იასპარეზებენ, დასასრულს უახლოვდება კალათბურთისა და ხელბურთის მოედნების მოწყობა. კიევის სასროლეთზე, სადაც არა მარტო მსროლელები იასპარეზებენ, არამედ სამხედრო სამჭიდელებიც გამოვლენ, აგებულია წინაღობების ზოლი და ყუმბარის ტყორცნის სექტორი. გათვალისწინებულია უშიშროების პირობები ავტომატური იარაღიდან სროლაში შეჯიბრებისას.

სპარტაკიადისთვის მზადებაში ორგანიზატორებს დიდ დახმარებას უწევენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სპორტული საზოგადოებები და უწყებები. არმიელი სპორტსმენების განკარგულებაში იქნება კიევის საუკეთესო სპორტული ბაზები.

სპარტაკიადის პრეს-ცენტრი უკვე შეუდგა მუშაობას — საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის ყოველდღიურად მზადდება ოპერატიული ინფორმაციები. მათ განკარგულებაშია საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი.

სპარტაკიადის მონაწილენი ინახულებენ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს — ისტორიულ მუზეუმს, კიევის სამხედრო ოლქის მუზეუმს, მოაწყობენ გასეირნებას დნეპრზე.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება 3 აგვისტოს ცენტრალურ სტადიონზე. სპორტული დღესასწაული ტარდება დევიზით: „ძმური არმიების მეომრები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა რევოლუციური მონაპოვრის ნამდვილი დამცველები არიან“. გახსნის პროგრამაშია — პროლოგი, მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები, აკრობატების პარადი, პარაშუტისტების ხტომა და სამბისტების საჩვენებელი შეხვედრები. დღესასწაულის ბოლოს ძმური არმიების მეომრები თავიანთ ხალხებს შეჰფიცებენ, რომ სიცოცხლის დაუზოგავად დაიცავენ სოციალისტურ მონაპოვრებს და კომუნიზმის ნათელი იდეალების ერთგულნი იქნებიან.

ვ. ფილიპოვი,

გენერალ-ლეიტენანტი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველი სენსაცია

ტულა, 22 ივლისი. სატრეკო ველოსპორტში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მთავარი სენსაცია იყო 19 წლის ლენინგრადელი სტუდენტის გ. ცარიოვას გამარჯვება სპრინტში. ფინალში მან დაამარცხა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ხარკოველი ი. კირიჩენკო. გამოდევნებით 3 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვების საკითხი სულ 0,02 წამმა გადაწყვიტა: 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონმა თ. გარკუშინამ (ტულა) სულ რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო ფინიშის ხაზზე მსოფლიოს 1968 წლის ჩემპიონს, ხარკოველ რ. ობოდოვსკაიას, რომელიც ვერცხლით დაკმაყოფილდა. III ადგილზეა რიგელი ბ. ცაუნე.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ფეხბურთის მერიდიანებზე

კონაკრი, 22 ივლისი. გვინეის თასის გათამაშებას თითქოს დასასრული არ უჩანდა: მხოლოდ მესამე ფინალურ შეხვედრაში გამოვლინდა გამარჯვებული. ეს არის კონაკრის მესამე ოკრუგის გუნდი, რომელმაც ანგარიშით 2:1 დაამარცხა ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი — ქალაქ კანკანის ნაკრები.

ციურიხი, 22 ივლისი. ფიფა-მ უარყო პროტესტი ტუნისის ფედერაციისა, რომელიც უკმაყოფილოა კენჭისყრის შედეგით (ეს წილისყრა გაიმართა ტუნისისა და მაროკოს ნაკრები გუნდების მესამე, ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ).

ტუნისისა და მაროკოს ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის XIV შესარჩევ ჯგუფში გასასვლელად წინასწარ მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. რახან ამ სამმა თამაშმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ჰყარეს წილი, რომელიც მაროკოელებისადმი გამოდგა კეთილგანწყობილი. ახლა მაროკოს ნაკრები ორწრიან ტურნირში ეთამაშება სუდანისა და ნიგერიის ფეხბურთელებს.

ტრონჰეიმი, 22 ივლისი. ნორვეგიისა და ისლანდიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ნორვეგიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1 (2:0).

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 71)

ფეხბურთი 69

25 ივლისს

საქართველოს სსრ „ბ“ კლასის პერსპექტიული მოთამაშეებისგან შემდგარი ნაკრები გუნდების შეხვედრა.

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04256